



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



ბრძანება: **ბ48. 48223125**

თარიღი: **08/11/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
 პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის
 გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების
 შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N31, 2022 წლის 28 ოქტომბრის N126 განკარგულებების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2 - ის შესაბამისად.
3. ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge .
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/

